13/10/2025

MES 7 25 0001339865

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი, 26.09.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
დასრულების დრო: 11:57 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დის ტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2025 წლის26 სექტემბერს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყ ველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუ შაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს(შემდგომში-საბჭო)წევრე ბი:

1. *თამარ იოსელიანი - შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი;*
2. *ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;*
3. დავით ლეშკაშელი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. *სერგო ჭელიძე - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუს“ პროფესორი;*
5. ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
6. მიხეილ გურგენიძე - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
7. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

8. სალომე კუჭუხიძე - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
9. ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
11. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. *ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი*
2. *თამთა მოხევიშვილი-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი

1. თამარ გარდაფხაძე - რექტორი;
2. ნათია გოგოლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ქეთევან კვიცარიძე - ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი;
4. ივანე სეხნიაშვილი - ბიზნესის, სამართლის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;
5. გულიკო იმედაშვილი - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;
6. ნანა ციხისთავი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

ნინო ფარსადანიშვილი
ეკა დევიძე
დავით ტეფნაძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 11:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ
აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივან ლებანმა, ინტერნეტთან კავშირის არქონის გამო ვერ შეძლო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიღება და გამოგზავნა საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა:

ხარისხი ვერ იქნება გარედან შემოტანილი მოვლენა უნივერსიტეტისთვის, არამედ ის მის ფარგლებში უნდა აღმოცენდეს. კარგი იქნება, თვითშეფასების ყველა დოკუმენტი იწყებოდეს იმ რეკომენდაციებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც წინა შეფასების დროს იყო გაცემული (ამ შემთხვევაში 2019 წლის შეფასება იგულისხმება) და თან ერთვოდეს მოკლე აღწერა, თუ რა პროგრესი განიცადა უნივერსიტეტმა ამ პერიოდის განმავლობაში.

2025 წლის 02-04 ივლისს გამართულმა ავტორიზაციის ვიზიტმა ჩაიარა შეუფერხებლად, დროული და კარგი ლოგისტიკით. ეს იყო კარგი კოლაბორაციის მაგალითი უნივერსიტეტს, ხარისხის ცენტრსა და ექსპერტებს შორის.
რაც შეეხება თავად რეკომენდაციებს, უნივერსიტეტის მისია და ხედვა უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული. თვითშეფასების ანგარიში და ყველა სხვა შეფასება უნდა იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე და სამომავლო გეგმაში მხოლოდ ძირითადი პრიორიტეტები უნდა იყოს განსაზღვრული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სტუდენტთა ხმა არამხოლოდ ფაკულტეტის დონეზე, არამედ ასევე უნდა ისმოდეს აკადემიურ საბჭოში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა ჰქონდეს მეტი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჭიროა უფრო მეტი მუშაობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ 4 პროგრამაზე, მათი სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში. კარგი იქნებოდა, მეტი პერსონალი იყოს სრულად დასაქმებული ნიუუნიში. ჩვენ გვინდა ყუდარღება გავამახვილოთ უნივერსიტეტის მიდგომაზე კვლევასთან მიმართებით.
საბოლოო ჯამში, ჩემი პირადი აზრია, რომ ეს არის პატარა უნივერსიტეტი რომელიც კარგ საქმეს აკეთებს საზოგადოებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ვიზიტმა კონსტრუქციულად ჩაიარა. ინტერვიუებთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია და ნაწილზე მუშაობა დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს. ავტორიზაციის ექსპერტი, ეკა დევიძე დაეთანხმა ხსენებულს და დაამატა, რომ გაცემული რეკომენდაციები ორიენტირებული იყო გაუმჯობესებაზე.
უნივერსიტეტის რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ღირებული რეკომენდაციები და უნივერსიტეტს დაწყებული აქვს მათი შესრულება, მათ შორის, ექვს უნივერსიტეტთან ერთად „ნიუუნიმ“ მოიგო კვლევითი გრანტი.
1.1 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან - „რეკომენდებულია, რომ ნიუუნი-მ იმსჯელოს და გადახედოს თავის ხედვას“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულებისა და მისი კრიტერიუმების მიხედვით, შეფასებას ექვემდებარება უფრო მისია. უნივერსიტეტის მისიას ხარვეზი არ ჰქონია. ხედვის გადახედვას უნივერსიტეტი ითვალისწინებს, თუმცა უფრო რჩევის სახით. ექსპერტებმა საუკეთესო პრაქტიკად აღნიშნეს სოციალური პასუხისმგებლობის აღება, განსაკუთრებით სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა და ეს ხაზგასმულია მისიაში, თუმცა ხედვაში აღარ არის ჩადებული. თუ ეს რეკომენდაცია დარჩება, აკადემიური საბჭო განიხილავს ამ საკითხს.
„რეკომენდებულია, მკაფიოდ გამოიკვეთოს ძირითადი პრიორიტეტები სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაში.“ აღნიშნულთან დაკავშირებით რექტორმა განმარტა, რომ პრიორიტეტები დეტალურად გაწერილია 7-წლიან სტრატეგიულ გეგმაში, თუმცა შესაძლებელია მათი დეტალიზაცია 3-წლიან სამოქმედო გეგმაშიც.
„რეკომენდებულია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ აკადემიური საბჭოს მუშაობაში, მათი მოსაზრებების უკეთ გათვალისწინების მიზნით“ ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით რექტორმა აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს წევრები განსაზღვრულია და სტუდენტის მონაწილეობა მასში არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში არ არიან წარმოდგენილები სტუდენტები, თუმცა ¼ პროპირციით წარმოდგენილი არიან ფაკულტეტის საბჭოში, სადაც აქტიურად მონაწილეობენ, მათ შორის, პროგრამების შემუშავებაში, ხოლო ფაკულტეტის საბჭოს ნამუშევარს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად განიხილავს აკადემიური საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ ექსპერტებს სთხოვა „რეკომენდებულია, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა, კარგად იცოდნენ როგორ გამოიყენონ ანტიპლაგიატის პროგრამა და ჰქონდეთ წვდომა მასზე“ რეკომენდაციის უფრო დეტალური განმარტება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა დევიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტში არის ანტიპლაგიატის პროგრამა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებენ პროგრამას, თუმცა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნაწილი არ იცნობდა მას. შესაბამისად, გადაწყვეტილ იქნა რეკომენდაციის გაცემა, რათა სტუდენტებსა და სხვა ჩართულ პირებს ჰქონდეთ წვდომა ანტიპლაგიატის პროგრამაზე და მისი საშუალებით ხდებოდეს ნაშრომების შეფასება.
საბჭოს წევრმა, ლევან მიდოდაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს 3.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რატომ გაიცა რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, როცა ეს საკითხი განეკუთვნება აკრედიტაციის სტანდარტებს.
ნინო ფარსადანიშვილმა დაადასტურა, რომ სწავლის შედეგების კომპონენტი არ არის ავტორიზაციის სტანდარტების კომპონენტი. ასევე, 7.1 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაამატა, რომ უნივერსიტეტმა გამოხატა მზაობა კონდიცირების სისტემების დამონტაჟების კუთხით. სტუდენტების კმაყოფილების ხარისხი იყო მაღალი როგორც მიღებული სერვისებით, ისე სწავლის პროცესით. ბევრმა სტუდენტმა გამოხატა კმაყოფილება სწავლის პროცესის კომფორტულობით და არსებული პრობლემების გადაჭრისთვის აკადემიური/მოწვეული პერსონალის მზაობით. ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების შესახებ უნდა გაიზარდოს ინფორმირების ხარისხი.
საბჭოს წევრმა კონსტანტინე სირბილაძემ სთხოვა ექსპერტებს, განემარტათ შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, რომ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის ანგარიშები გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი”.
ეკა დევიძემ განმარტა, რომ საუბარი იყო ანგარიშების ვებ-საიტზე განთავსებასა და ხელმისაწვდომობაზე, თუნდაც მოკლე ანგარიშის სახით.
კონსტანტინე სირბილაძემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტს რექტორს. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტში რომელიმე სტრუქტურული ერთეული თუ აჯამებს უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას და რა პრინციპით მუშაობს მათი ანგარიშვალდებულება.
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა, ქეთევან კვიცარიძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და ხელშეწყობაზე. ცენტრი, სხვა სამსახურებთან კოორდინირებით, ყოველწლიურად ახდენს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებასა და შედეგების შემდგომ გამოყენებას. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფარგლებში ყველა შექმნილი ნაშრომი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ყოველსემესტრულად შესრულებული ინსტიტუციური ანგარიშები ამ ეტაპზე ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული. უნივერსიტეტს არ ჰქონდა მათი განთავსება აქამდე მოაზრებული, მაგრამ თუ საბჭო დაინახავს აღნიშნულის საჭიროებას, უნივერსიტეტი ზემოხსენებულ ანგარიშებს განათავსებს საჯაროდ ვებ-გვერდზე.
თამარ იოსელიანმა „რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები და ჩამოაყალიბოს კვლევითი საქმიანობის განვითარების თანმიმდევრული გეგმა“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰკითხა, დაწესებულებაში რეალურად გაწერილი იყო თუ არა პრიორიტეტები.
ნინო ფარსადანიშვილმა განმარტა, რომ როდესაც ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში არსებულ სიტუაციას, მათ შორის, სამეცნიერო კვლევითი აქტივობების დაფინანსების სქემებს, აშკარა გახდა, რომ უნივერსიტეტი მკვლევრებს აძლევს მოქნილობის შესაძლებლობას, რათა იკვლიონ მათთვის საინტერესო თემატიკა. ამ მიმართულებით ფინანსების ხარჯვის სქემა უფრო მეტად რომ შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, საჭიროა აქტიურ მკვლევრებთან ერთად განისაზღვროს ყოველწლიური სამეცნიერო პრიორიტეტები, რაც დაწესებულებას

გაუადვილებს ფინანსების პრიორიტეტულ სამეცნიერო კვლევით მიმართულებებზე განსაზღვრას და ზოგადად სამეცნიერო კვლევითი პროცესის წარმართვას.
ეკა დევიძემ დაამატა, რომ რეკომენდაცია ითვალისწინებს პროგრამებზე, სკოლებზე ორიენტირებული ხედვების ჩამოყალიბებას.
თამარ გარდაფხაძე დაეთანხმა ექსპერტებს და დაამატა, რომ ამჟამად უნივერსიტეტი ახორციელებს მხოლოდ საბაკალავრო პროგრამებს და კოლეჯის სტატუსით გადის ავტორიზაციას. წინა საავტორიზაციო პერიოდში, შიდა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის 18 სახელმძღვანელო, რომლებიც გამოყენებულია სილაბუსებში. ასევე, მოქმედებს კვლევითი ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, რომლის ციტირების ინდექსი 1.5-დან 2.9-მდე გაიზარდა. ასევე, 355 000 ევროს ფარგლებში 6 უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული კვლევითი გრანტი. ექსპერტთა რეკომენდაცია არის მისაღები და მიუხედავად უნივერსიტეტში მოქმედი მხოლოდ საბაკალავრო პროგრამებისა, უნივერსიტეტი არ არიდებს თავს კვლევით საქმიანობას და მიმართულება უფრო მეტად გაუმჯობესდება, მეტ საგრანტო კონკურსში ჩაერთვება უნივერსიტეტი. აფილირებული პერსონალისთვის გამოქვეყნებები ფინანსდება ნებისმიერ „Impact Factor”-იან ჟურნალში. ამასთანავე, ისინი სრულად ფინანსდებიან ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით კონფერენციებში მონაწილეობისას. საბჭოს წევრის, ნინო ჩინჩალაძის დამაზუსტებელ კითხვაზე უპასუხა, რომ ამჟამად უნივერსიტეტს ყავს 532 აქტიური და 300-მდე სტატუსშეჩერებული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 11:32
დასრულების დრო: 11:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის და 1 წელში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - ახალ უმაღლეს სასწავლებელს - ნიუუნის (ს/კ: 404916203) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი, 2026 წლის 26 სექტემბრამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 26 სექტემბერი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა შემდეგი რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.1
„რეკომენდებულია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ აკადემიური საბჭოს მუშაობაში, მათი მოსაზრებების უკეთ გათვალისწინების მიზნით.“

კომპონენტი 3.3
რეკომენდებულია, თითოელი საგანმანათლებლო პროგრამისთვის შეიქმნას სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდ ა 11:57 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ